ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი
კომისიის წევრი - ანა ლორია
კომისიის წევრი - ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.05.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/20

I შეკითხვა:

ადვოკატს ხელშეკრულება აკავშირებს ორ სამეწარმეო სუბიექტთან, რომელთაც უწევს რეგულარულ (ყოველთვიურ) იურიდიულ მომსახურებას.

აღნიშნული კომპანიებიდან A ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეში არის მოპასუხე, ხოლო B აღნიშნულ საქმეში არაპირდაპირ ფიგურირებს, კერძოდ, B წარმოადგენს მოსარჩელე კომპანიის კონტრაქტორს და სარჩელს თან ერთვის მოსარჩელესა და B კომპანიას შორის არსებული საქმიანი დოკუმენტები, რომლითაც მოსარჩელე ცდილობს თავისი პოზიციის დასაბუთებას, A-ს წინააღმდეგ.

კერძოდ, B-ს გააჩნია პრეტენზიები მოსარჩელის მიმართ, რასაც მოსარჩელე უკავშირებს A-ს ბრალეულობას. უფრო კონკრეტულად: მოსარჩელეს უნდა შეესრულებინა მომსახურება B-ს სასარგებლოდ, A-ს მიერ მოწოდებული მასალის გამოყენებით და დავის საგანი არის ის, რომ A-ს მიერ მოწოდებული მასალა უხარისხოა, რის გამოც, საქმეს ერთვის B-ს პრეტენზიის წერილი მოსარჩელის მიმართ.

შესაძლებელია, სამომავლოდ B კომპანიის თანამშრომლები დაკითხულ იქნან საქმეში მოწმის სახით, მაგრამ B-ს A კომპანიის მიმართ არავითარი მოთხოვნა არ გააჩნია და მესამე პირად (თუნდაც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე) B-ს ჩართვა საქმეში არ არის სავარაუდო.

შეკითხვები მდგომარეობს შემდეგში:

1) თუ ადვოკატი (რომელიც A და B კომპანიებს ერთდროულად ემსახურება) ჩაერთვება სამოქალაქო საქმეში A კომპანიის წარმომადგენლად და B კომპანია არ ჩაერთვება საქმეში არანაირი ფორმით და სტატუსით, ჩაითვლება თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტის დარღვევად?

2) იგივე კითხვა, იმ შემთხვევისთვის, თუ B კომპანიის წარმომადგენლები პროცესზე გამოძახებულები იქნებიან მოწმის სახით

3) იგივე კითხვა, იმ შემთხვევისთვის, თუ B კომპანია ჩაერთვება საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

II ანალიზი:

ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

კონფლიქტის განსაზღვრა

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

ინტერესთა კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლებელია არსებობდეს: (1) ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის; (2) ადვოკატსა და კლიენტს შორის; (3) ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ და/ან პოტენციურ კლიენტს შორის; და (4) ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები.

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #092/10).

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას ერთდროულად უწევს A და B კომპანიებს. ამასთან, ადვოკატი ერთ-ერთ სასამართლო დავაში A-ს, როგორც მოპასუხის ინტერესებს წარმოადგენს. შეკითხვიდან ირკვევა, რომ მეორე კლიენტიც დაკავშირებულია აღნიშნულ დავასთან. კერძოდ, მოსარჩელესა და B-ს შორის გაფორმებული შეთანხმების შეუსრულებლობას მოსარჩელე უკავშირებს A-ს ბრალეულ ქმედებას.

შეკითხვის ავტორი უთითებს, რომ მის კლიენტ B-ს მიუხედავად სასამართლო დავასთან კავშირისა, არ აქვს მოთხოვნა A-ს მიმართ და სამომავლოდაც მისი საქმეში ჩართვა ნაკლებსავარაუდოა, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, ორივე კლიენტის ინტერესების ურთიერთდაკავშირებულობის და შემდგომ ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოცემულ სასამართლო დავაში, როგორც მხარე კლიენტი B არ არის ჩართული, არამედ ის ფაქტი, რომ დავის შინაარსიდან გამომდინარე კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება, ვინაიდან მოსარჩელე B-ს მიმართ შეუსრულებელ ვალდებულებას უკავშირებს A-ს ქმედებას, რაც A-სა და B-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს წარმოქმნის.

შედეგად, **პირველი შეკითხვის** შემთხვევაში, მიუხედავად B-ს სასამართლო დავაში ჩაურთველობისა, სახეზეა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, თუმცა არა თავად კონფლიქტი.

შესაბამისად, **მეორე და მესამე შეკითხვაში** მოცემული პირობების არსებობის შემთხვევაში, რაც ერთდროულად ორივე კლიენტის აღნიშნულ საქმეში ჩართულობას გულისხმობს, ერთი მხრივ, მოწმის სახით და მეორე მხრივ მესამე პირის სტატუსით, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

შესაბამისად, ადვოკატის მიერ შეკითხვაში აღწერილ პირველ შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

კონფლიქტის მიუხედავად წარმომადგენლობის შესაძლებლობა

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს, ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს რამდენიმე კლიენტი მათი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში. ასეთ დროს, მთავარია ადვოკატმა დაადგინოს:

(1) აქვთ თუ არა სხვადასხვა კლიენტს საერთო ინტერესი;
(2) თანხმობას აცხადებენ თუ არა ეს კლიენტები, ერთი და იმავე ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები;

(3) არ არსებობს კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე იმ პირობებშიც კი, როდესაც ადვოკატი წარმოადგენს რამდენიმე კლიენტს; და
(4) კონფლიქტი არ უშლის ადვოკატს ხელს იმოქმედოს მისი ყველა კლიენტის ინტერესების ფარგლებში. ასეთ დროს, თუ ადვოკატის ქმედებები A და B კომპანიების ერთდროული წარმომადგენლობისას იქნებოდა ზუსტად ისეთივე, როგორიც მხოლოდ A ან მხოლოდ B კომპანიის წარმომადგენლობისას, ადვოკატს შეუძლია დაიცვას ორივე კლიენტის ინტერესები.

ეთიკის კომისია აქვე განმარტავს, რომ ეს შესაძლებლობა არ მოიცავს დაპირისპირებული პირების (მაგალითისათვის მოსარჩელის და მოპასუხის) ერთი და იმავე საქმეში, ერთი ადვოკატის მიერ წარმომადგენლობას.

„როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესები (წესი 1.7(ა)) ითვალისწინებს იმ შეუთავსებელ ურთიერთობებს, რა შემთხვევებშიც, არ არის შესაძლებელი კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების დროსაც კი წარმომადგენლობის განხორციელება. კერძოდ, 1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს, 2. მნიშვნელოვანი რისკია იმისა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020). აქედან გამომდინარე, ინფორმირებული თანხმობის შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც დაცულია კლიენტის ინტერესები და კლიენტს აქვს უფლება გასცეს ამგვარი თანხმობა.

შეჯამებისთვის, კონფლიქტში მყოფი პირების ერთი და იმავე ადვოკატის მიერ წარმომადგენლობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს კონფლიქტში მყოფი პირების საერთო ინტერესი და მათი ინფორმირებული თანხმობა. ამასთან, ამ წარმომადგენლობით, საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას იმოქმედოს კლიენტების ინტერესების შესაბამისად.

III დასკვნა:

ადვოკატი რამდენიმე კლიენტისათვის ერთდროულად მომსახურების გაწევისას ვალდებულია გამოიჩინოს გულისხმიერება, შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტი ან განსაზღვროს მისი წარმოქმნის საფრთხე. შეკითხვაში მოცემულ შემთხვევაში კლიენტთა A-სა და B-ს ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება. პირველ შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რადგანაც მოსარჩელესა და კლიენტს A-ს დავა დაკავშირებულია ადვოკატის მეორე კლიენტის B-ს ინტერესთან. მეორე და მესამე შემთხვევები უშუალოდ სასამართლო პროცესში B-ს ჩართულობას ეხება, რაც უკვე

არის არა საფრთხე, არამედ აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის საფრთხისა და თავად კონფლიქტის არსებობა ადვოკატს ართმევს შესაძლებლობას დაპირისპირებული ინტერესების მქონე პირების ინფორმირებული თანხმობის გარეშე წარმოადგინოს მათი საერთო ინტერესები. ამასთან, ამ წარმომადგენლობით, საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას იმოქმედოს კლიენტების ინტერესების შესაბამისად.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი /ანა ლორია/